**ხელშეკრულება**

ქ.თბილისი 1 სექტემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ, **შპსი-სპეის** (ს/ნ405147087) მდებარე საქართველო, ქ. თბილისი, ტატიშვილის ქ. № 3-5(შემდგომში - **მოიჯარე**), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბატონი **ავთანდილ შავიშვილის (პ.ნ: 33001006237)** სახით, რომელიც მოქმედებს **შპსი-სპეის**-ის წესდებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და

მეორე მხრივ, შპს ,,სპორტის სასახლე“ (ს/ნ: 211360944) მდებარე: 26 მაისის მოედანი # 1, (შემდგომში - **მეიჯარე**), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **ია შალიკაშვილის (პ/ნ 35001004325)** სახით, რომელიც მოქმედებს მინდობილობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

შემდგომში ერთად მოხსენიებულნი- **მხარეებად** ,ხოლო ცალ-ცალკე მოხსენიებულნი - **მხარედ,**

ვთანხმდებით და ვდებთ ხელშეკრულებასელექტრო-დამტენის მონტაჟისა და ექსპლუატაციის შესახებ (შემდგომში - **ხელშეკრულება**)შემდეგი პირობებით:

## მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნია შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.**სამონტაჟომიწის გადაცემა - მეიჯარეს**საკუთრებაში არსებული მიწის ან ამ მიწის ნაწილის წინასწარშეთანხებულიმდებარობითადაფართობით**მოიჯარისთვის** იჯარით გადაცემა წინასწარშეთანხმებული საიჯარო პირობებით;მიწის ფართი და ადგილმდებარეობა მოცემულია დანართ # 1-ში.

1.2. **სამონტაჟომიწის დაბრუნება - მოიჯარის** მიერ **მეიჯარის** იჯარით მიღებულ**სამონტაჟო მიწის** ფართზე **ხელშკრულების** შეწყვეტადა უკან დაბრუნება წინასწარ შეთანხმებული პირობებით;

1.3. **ელექტრო-ავტომობილი** - ახლი ტექნოლოგიებით შექმნილი ავტომობილი, რომლის საავტომობილო გზებზე გადაადგილებისთვის აუცულებელია მისი ელექტრო-ენერგიით პერიოდული დატენვა სპეციალური **ელექტრო-დამნტენების** საშუალებით;

1.4. **ელექტრო-დამტენი** - სპეციალური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება **ელექტრო-ავტომობილების**პერიოდულად დასამუხტად/დასატენად **ელექტრო-ავტომობილების** საავტომობილო გზებზე გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით; ელექტროოდამტენის ვიზუალური მხარე მოცემულია დანართ #2-ში.

1.5. **ელექტრო-დამტენის მონტაჟი - მოიჯარისთვის** გადაცემულ მიწაზე**ელექტრო-დამტენის**სათანადოდ დამაგრება/დაყენება და **ელექტრო-დამტენის**ექსპლუატაციისთვის მზა მდგომარეობაში მოყვანა.

## მუხლი 2.ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე **ხელშეკრულების** საფუძველზე **მეიჯარე** ელექტროენერგიის გამტარი სადენით მიყვანილ **სამონტაჟო მიწასგადაცემსმოიჯარეს,** და უზრუნველყოფს მასზე კომუნალური გადასახადების გადახდას (მათ შორის, ელექტროენერგიის

მოიჯარე _____ მეიჯარე _____

გადახდას) **ხელშეკრულების** პუნქტი 2.4.-ს პირობების გათვალისწინებით, ხოლო **მოიჯარე** უზრუნველყოფს **ელექტრო-დამტენის მონტაჟს**.

2.2**მეიჯარეუზრუნველყოფს ელექტრო-დამტენისთვისმოიჯარის** მიერ განსაზღვრული სპეციფიკაციით ელექტროენერგიის უწყვეტ მიწოდებას**ელექტრო-დამტენისმონტაჟის** დასრულების დღიდან წინამდებარე **ხელშეკრულების** მოქმედების დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევისა თუ ელექტროენერგიის მიწოდება ფერხდება/შეწყვეტილია მიმწოდებელი ენერგო კომპანიის მხრიდან.ელექტროენერგიის **ელექტრო-დამტენამდე**მიყვანას მეიჯარე განახორციელებს დანართი 3 მოთხოვნის შესაბამისად და თვითონ გასწევს შესაბამისხარჯებს.

2.3. **მხარეები** თანხდმებიან რომ **ელექტრო-ავტომობილების** მფლობელებისათვის **ელექტრო-დამტენით** სარგებლობის და მასთან დაკავშირებული მომსახურებ(ებ)ის ფორმებს, საფასო, სატარიფო ან/და მომსახურების ანაზღაურების პოლიტიკას დამოუკიდებლად განსაზღვრავს და წარმართავს **მოიჯარე**.

2.4. **მოიჯარე** ერთთვიანი წინასწარი წერილობითი შეტყობინებით აცნობებს **მეიჯარეს ელექტრო-დამტენის** სარგებლობაზე მომხმარებლისთვის საფასურის დაწესების თაობაზე, რის შემდეგ, ანუ საფასურის დაწესების დღიდან,**მოიჯარეს დაეკისრება** ვალდებულებააუნაზღაუროს **მეიჯარეს სამონტაჟო მიწასთან** დაკავშირებული კომუნალური გადასახადები (მათ შორის, ელექტროენერგიის).

## მუხლი 3.მხარეთაუფლებები და ვალდებულებები

3.1**მხარეები** უფლებამოსლნი არიან მოთხოვონ ერთმანეთს წინამდებარე **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სათანადოდ და გონივრულ ვადებში შესრულება, თუ ვალდებულებების შესრულების ვადები არ არის დაკონკრეტებული**ხელშეკრულებაში;**

3.2.**მოიჯარე**ვალდებულია:

3.2.1.დაამონტაჟოს **ელექტრო-დამტენისამონტაჟო მიწაზე** მას შემდეგ, რაც **მეიჯარე** მიიყვანს ელექტროენერგიას **ელექტრო-დამტენამდე**, განახორციელოს მისი პერიოდული ტექნიკური მომსახურება **ელექტრო-დამტენის** ნორმალურიექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად.გამოცვალოს და დაამონტაჟოს ახალი **ელექტრო-დამტენი** თუ არსებული გამოვიდა მწყობრიდან და მისი შეკეთება ვერ ხორციელდება.

3.2.2. საჭიროების შემთხვევაში, **ელექტრო-დამტენისმონტაჟისთვის** მოიპოვოს კანონით განსაზღვრული ყველა საჭირო ნებართვა და/ან დოკუმენტაცია და თვითონ გასწიოს მათთან დაკავშირებული შესაბამისი ხარჯები;

3.2.3.ერთი თვით ადრე შეატყობინოს **მეიჯარეს ელექტრო-დამტენით** სარგებლობისთვის საფასურის დაწესების შესახებ და მას შემდეგ, რაც **ელექტრო-ავტომობილების** მფლობელთა **ელექტრო-დამტენით** სარგებლობისთვის **მოიჯარის** მიერ დაწესდება მომსახურების საფასური, აუნაზღაუროს **მეიჯარეს სამონტაჟო მიწასთან** დაკავშირებული კომუნალური გადასახადები (მათ შორის, ელექტროენერგიის).

3.2.4 შეასრულოს წინამდებარე **ხელშეკრულების** დებულებებით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები ან/და ვალდებულებები.

**3.3. მეიჯარე ვალდებულია:**

3.3.1.უზრუნველყოს **ელექტრო-დამტენისთვისხელშეკრულებით** განსაზღვრული პარამეტრებით ელექტროენერგიის მიყვანა, ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდება დას**ამონტაჟო მიწასთან** დაკავშირებული კომუნალური გადასახადების (მათ შორის, ელექტროენერგიის) გადახდა, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე **ხელშკერულების**მე-2 მუხლში. ამასთან, თუ **მეიჯარისთვის** არ იქნება საკმარისი **მოიჯარის** მიერ **ელექტრო-დამტენიდან** მოპოვებული და მიწოდებული ელექტროენერგიის ხარჯვის მონაცემები, მაშინ**მოიჯარის** შეტყობინების შემთხვევაში და ამ შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარულ დღეში ტექნიკურად უზრუნველყოს **ელექტრო-დამტენის** მიერ ელექტროენერგიის ხარჯვის მოცულობისა და მისი ღირებულების

მოიჯარე _____ მეიჯარე

ზუსტი აღრიცხვა და **მოიჯარისთვის** მიწოდება, ამ უკანასკნელის მიერ აღნიშნული ელექტროენერგიის ხარჯების ასანაზღაურებლად.

3.3.2. შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს დამონტაჟებული **ელექტრო-დამტენის** დაზიანებისაგან, განადგურებისაგან, ძარცვისაგან ან სხვა ვანდალური ქმედებისაგან დაცვა და მაქსიმალური უსფართხოება. **ელექტრო-დამტენის** დაზიანებისა და/ან მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, მომხდარის შესახებ, დაუყოვნებლივ შეატყობინოს **მოიჯარეს**.

3.3.3.შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს **ელექტრო-დამტენის** მხოლოდ **ელექტრო-ავტომობილების** დამუხტვა/დატენისთვის გამოყენება და არ გამოიყენოს **ელექტრო-დამტენი** სხვა მიზნით;

3.3.4. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში უზრუნველყოს ავტოსადგომზე ისეთი სიმბოლოების/ნიშნების დატანა (თავისი შეხედულებისამებრ, საკუთარი დიზაინით დახაზვა), რომელიც მოქალაქეებს, ავტომფლობელებს და/ან სხვა პირებს მიუთითებს, რომ აღნიშნული ავტო-სადგომი მხოლოდ **ელექტრო-ავტომობილებისთვისაა** განკუთვნილი;

3.3.5. შეასრულოს წინამდებარე **ხელშეკრულების** დებულებებით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები ან/და ვალდებულებები.

## მუხლი 4. საიჯარო ქირა

4.1. ერთი თვის, საიჯარო ქირა შეადგენს 10(ათი) ლარს , ხოლო მთლიანი ღირებულება 120 (ას ოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

4.2. ხელშეკრულების 4.1 პუნქტში მითითებული თანხის გადახდა/გაქვითვა ხდება წლის ბოლოს, 1 წლის მომსახურების ღირებულების ოდენობით (120 ლარი) ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 10 (ათი) დღით ადრე.

## მუხლი5.ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

5.1 წინამდებარე **ხელშეკრულება** ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 1 (,ერთი) წლის ვადით, **მხარეთა** მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

5.2. **მხარეები** თანხმდებიან, რომ 2 (ორი) თვიანი წინასწარი წერილობითი შეტყობინების შემთხვევაში **მეიჯარე** უფლებამოსილია შეცვალოს **საიჯარო ფართის** ადგილიმდებარეობა და შესთავაზოს **მოიჯარეს**იგივე ოდენობის/კვადრატულობის სხვა მისთვის მისაღებიადგილი/მდებარეობა იმავე მიწის ნაკვეთზე.

## მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. წინამდებარე **ხელშეკრულება** შეიძლება შეწყდეს:

6.1.1. **მხარეთა** წერილობითი ურთიერთშეთანხმებით;

6.1.2. **მხარის** ინიციატივით მეორე **მხარისთვის** წინამდებარე **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე 6(ექვსი) კალენდარული თვით ადრე შეტყობინების საფუძველზე და ამასთან, თუ გასულია წინამდებარე **ხელშეკრულების**მოქმედების პირველი 3 (სამი) წლის ვადა.

6.2. რომელიმე **მხარის** ინიციატივით ან **მხარის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან არასათანადოდ შესრულების გამო ამ მუხლის 6.1. პუნქტის დარღვევით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ინიციატორი ან ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არასათანადოდ შესრულებაზე პასუხისმგებელი**მხარე** მეორე **მხარეს**გადაუხდის ჯარიმის სახით 2,000 (ორი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში გადახდის დღეს არებული საქართველოში დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

6.3. **ხელშეკრულების**შეწყვეტის ან დასრულების შემთხვევაში **მოიჯარის** მიერ **მეიჯარისთვის** ხორცრელდებასამონტაჟო მიწის უკან დაბრუნება წინამდებარე **ხელშეკრულების**პირობების შესაბამისად.

"E-SPACE" LTD
405147087
TBILISI
GEORGIA

მოიჯარე _____ მეიჯარე

6.4. **ხელშეკრულების** შეწყვეტა ან მოქმედების ვადის დასრულება არ ათავისუფლებს **მხარეებს** ერთმანეთის მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

## მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში **მხარეები** პასუხს აგებენ წინამდებარე **ხელშეკრულებითა** და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2. **მხარეები** ვალდებულნი არიან გონივრულ ვადაში აუნაზღაურონ ერთმანეთს ერთმანეთისათვის მიყენებული ზარალი და/ან მატერიალური ზიანი.

7.3.**მხარეები** თავისუფლდებიან წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან არასათანადოდშესრულებით დამდგარი პასუხისმგებლობისგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით - დაუძლეველი ძალით, როგორიც არის წყალდიდობა, ხანძარი, აფეთქებები, ავარია, სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც არსებითად აუარესებენ **ხელშეკრულების** პირობებს, **მხარეების** სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს და სხვა გარემოებები, რომლებიც წარმოიშვა **მხარეთაგან** დამოუკიდებელი მიზეზებით, რომელთა თავიდან აცილება და გადალახვა **მხარეებს** არ შეეძლოთ და თუ ეს გარემოებები ხელს უშლიან **მხარეებს** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას. **მხარეს,** რომელსაც წარმოექმნება დაბრკოლებები საკუთარ ვალდებულებათა შესრულებისას, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე **მხარეს** აღნიშნულის შესახებ, მისი დასრულების სავარაუდო თარიღის მითითებით.

## მუხლი8. მხარეთა დავა

8.1 **მხარეთა** შორის წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

8.2 **მხარეთა** შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს და გადაწყვეტს საქართველოს სასამართლო.

## მუხლი 9. დასკვნითი და სხვა დებულებები

9.1წინამდებარე **ხელშეკრულებაში** ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ **მხარეთა** მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

9.2. წინამდებარე **ხელშეკრულების** მოქმედების ნებისმიერ პერიოდში, ამ **ხელშეკრულების** საფუძველზე ან მისგან გამომდინარე დადებული ნებისმიერი დამატებითი წერილობითი შეთანხმება წარმოადგენს წინამდებარე **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და განიხილება **ხელშეკრულებასთან** ერთობლივად.

9.3. **მხარეები** ვალდებულნი არიან წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე შეტყობინებების, მითითებების და დოკუმენტების მიწოდება განახორციელონ წერილობითი შეტყობინების, ელექტრონული ფოსტის, ფაქსის ან ნებისმიერი სხვა საშუალების გამოყენებით, რომელიც იძლევა ადრესატისათვის გზავნილის მიღების დადასტურების საშუალებას. თუ აღნიშნული ფორმით ვერ ხერხდება ან გვიანდება შეტყობინება, **მხარე** უფლებამოსილია შეტყობინება გააკეთოს ზეპირი/სატელეფონო შეტყობინების სახით, რაც შემდგომ უნდა დადასტურდეს წერილობითი შეტყობინებით.

მოიჯარე _____ მეიჯარე

9.4. **მხარეები** აცხადებენ თანხმობას, რომ წინამდებარე **ხელშეკრულებისა** და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების მიწოდება, მიღების დადასტურება, გაფორმება და ურთიერთგაცვლა შესაძლებელია მოხდეს ელექტრონული საშუალებით ელექტრონული ხელმოწერის ფორმით. **მხარეები** წინამდებარე **ხელშეკრულების** საფუძველზე ადასტურებენ ელექტრონული ხელმოწერის ფორმით დადებული შეთანხმების ნამდვილობას და მის თანაბარ ექვივალენტურობას წერილობით ფორმასთან და გამორიცხავენ ნებისმიერ ეჭვს მასთან დაკავშირებით.

9.5. წინამდებარე **ხელშეკრულების** რომელიმე პირობის ან პუნქტის ბათილობა ან შეცვლა ან დამატება არ იწვევს მის მთლიანი ან სხვა ცალკეული პირობების ან პუნქტების ბათილობას.

9.6.წინამდებარე **ხელშეკრულება**შედგენილია რვა გვერდიან ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და თოთოეულიგადაეცემათ **მხარეებს.**

**მუხლი10.მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები**

| **მოიჯარე** | **მეიჯარე** |
|---|---|
| **შპს ი-სპეის**<br>ს/ნ 405147087<br>იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ტატიშვილის ქ. № 3-5<br>ფაქტიური მისამართი:_თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონო, ტატიშვილის ქ. № 3-5_<br>ტელ/მობ.: 032 2433473, 595 156006<br><br>ელ.ფოსტა: info@e-space.ge<br><br>საბანკო ანგარიში: ა/ა GE71BG0000000628505600<br>სს საქართველოს ბანკი, BAGAGE22<br><br>ხელმოწერა:<br><br>ავთანდილ შავიშვილი<br>დირექტორი | შპს ,,სპორტის სასახლე“<br><br>ქ.თბილისი, 26 მაისის მოედანი # 1<br><br>ტელ: 032 2 33 33 11<br><br>ელ. ფოსტა: SalikaSvili_ia@yahoo.com<br><br>№ GE32BG0000000117154700<br>სს საქართველოს ბანკი, BAGAGE22<br><br>ხელმოწერა:<br><br>---<br><br>ია შალიკაშვილი<br>დირექტორი |

შპს "ი-სპეის" თბილისი საქართველო 405147087 "E-SPACE" LTD TBILISI GEORGIA

შპს "სპორტის სასახლე" "SPORTS PALACE" LTD 211360944

მოიჯარე _____ მეიჯარე

**დანართი N 1**

1 სექტემბერი 2019წელი

1. **იჯარის საგანი:**

   საკადასტროკოდი: 011013033/109

   მისამართი/ადგილმდებარეობა:ქ. თბილისი , 26 მაისის მოედანი #1

   მიწისნაკვეთის ფართი: 1კვ.მ

შპს "ი-სპეისი" თბილისი საქართველო 405147087 "E-SPACE" LTD TBILISI GEORGIA

შპს "სპორტს პალასი" 4 214 360 944 "SPORTS PALACE" LTD

მოიჯარე ________________      ________________ მეიჯარე

ხელმოწერა

ხელმოწერა




ფასთა N 2

## დანართი #3

- **ელექტრო-დამტენი** მოწყობილობის მაქსიმალური სამუშაო სიმძლავრე შეადგენს 22 კვტ-ს
- **ელექტრო-დამტენის** დაერთება ხდება საერთო სარგებლობის ელ. მომარაგების ქსელზე სამფაზიანი შეერთების გამოყენებით
- დაერთებისას გამოიყენება 5-წვერიანი სადენი (3 ფაზა+"0"+დამიწება). თითოეული წვერის კვეთა უნდა იყოს არანაკლებ 6 მმ2, თუ მანძილი დენის წყარდან **ელექტრო-დამტენამდე** ნაკლებია 50 მ-ზე, ხოლო 10მმ2 თუ მეტია 50 მეტრზე..
- კაბელი უნდა იყოს სპილენძის სადენებით და ჰქონდეს სილიკონის იზოლაცია (როგორც უშუალოდ კაბელს, ასევე თითოეულ წვერს)
- კაბელი უნდა დაერთდეს სამფაზიან (220Vx3) დენის წყაროზე, 40 ამპერიანი, C - კატეგორიის სამ ფაზიანი ავტომატით.
- კაბელი უნდა იყოს მოთავსებული გოფრირებულ მილში, რომელიც გაყვანილია მინიმუმ 35 სმ-ის სიღრმეზე
- **ელექტრო-დამტენის** ლოკაციაზე მიყვანილი კაბელის სამონტაჟო ნაწილის სიგრძე უნდა იყოს მინიმუმ 2 მეტრი, დამტენზე დასაერთებლად
- უშუალოდ **ელექტრო-დამტენის** პირველი ჩართვის წინ აუცილებელია ძალოვან კაბელზე ძაბვის (ვოლტაჟის) შემოწმება. აღნიშნული მაჩვენებელი უნდა იყოს 215-230 ვოლტის შუალედში სამივე სადენზე, "ფაზა - ნულ" წყვილში გაზომვისას; ასევე აუცილებელია შემოწმდეს დამიწების კონტურის გამართულობა და ადგილობრივ სტანდარტებთან შესაბამისობა

მოიჯარე _____

მეიჯარე _____

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19070768, 27/06/2019 17:47:09

## სუბიექტი

| | |
|---|---|
| **საფირმო სახელწოდება:** | შპს ი-სპეის |
| **სამართლებრივი ფორმა:** | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| **საიდენტიფიკაციო ნომერი:** | 405147087 |
| **რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:** | 25/04/2016 |
| **მარეგისტრირებელი ორგანო:** | სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |
| **იურიდიული მისამართი:** | საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ყაზბეგის ქ., N3-5 |

**დამატებითი ინფორმაცია:**

ელ. ფოსტა: info@e-space.ge

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

## ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

## ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - ავთანდილ შავიშვილი, 33001006237

## პარტნიორები

| მესაკუთრე | წილი | წილის მმართველი |
|---|---|---|
| სულხან გვალია, 01008013610 | 70% | |
| ტარიელ გვალია, 01024014321 | 15% | |
| მარიამ ეკიზაშვილი, 01008005131 | 15% | |

**ვალდებულება**

რეგისტრირებული არ არის

**ყადაღა/აკრძალვა**

რეგისტრირებული არ არის

**საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოვალეთა რეესტრი**

რეგისტრირებული არ არის


- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge